2-4137/25
31-03-2025

საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების: მაია ბითაძის, გიორგი ჭყონიას, ვლადიმერ ბოჟაძის, გიორგი ხახუბიას, გოდერძი ჩანქსელიანის, ანტონ ობოლაშვილის, ირაკლი ზარქუასა და ზაურ დარგალის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/44; 12.03.2025)

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა 2025 წლის 31 მარტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/44; 12.03.2025).

კანონპროექტის მიზანია სსიპ - მინერალური რესურსების სააგენტო, რომელიც ამჟამად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სისტემაში შედის, გადავიდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს გააჩნია სამართლებრივი და რედაქციული ხასიათის შენიშვნები. კერძოდ, კანონპროექტებში მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილებები შესაბამის მუხლებში და სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ნავთობისა და გაზისა) სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება გადავიდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კომპეტენციაში, რაც მეტად ეფექტიანად უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის მართვას, გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენციასა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის/მნიშვნელოვანი ზიანის შერბილებას.

კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონის პროექტები: „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მომზადებულად ცნო და კომიტეტის შენიშვნების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მაია ბითაძე